სამართლის ელექტრონული ბიბლიოთეკა (სები)
www.library.court.ge

თბილისის სააპელაციო სასამართლო

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

საქართველოს სახელით

საქმე №2ბ/3949-13 **17 დეკემბერი, 2013 წელი**

სამოქალაქო საქმეთა პალატა

თავმჯდომარე, მომხსენებელი - ქეთევან მესხიშვილი
მოსამართლეები - ნათია გუჯაბიძე, ლილი ტყემალაძე

სხდომის მდივანი – დარეჯან ბიძინაშვილი

აპელანტი – ნ. გ.

წარმომადგენელი – ნ. ნ.

მოწინააღმდეგე მხარე – სს „თ. ბ.''

წარმომადგენელი – ი. წ.

დავის საგანი – თანხის დაკისრება

გასაჩივრებული გადაწყვეტილება – თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 5 ივნისის გადაწყვეტილება

აპელანტის მოთხოვნა – გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმება და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა

გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნებზე მითითება

სს „თ. ბ.“ სასარჩელო მოთხოვნა: მოპასუხე ნ. გ.-ს სს „თ. ბ.-ს“ სასარგებლოდ დაეკისროს საბანკო კრედიტის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება, სესხის სახით მიღებული 2463,88 ლარის გადახდა. ასევე, 2527,01 ლარის გადახდა სესხზე დარიცხული საპროცენტო სარგებლის სახით და 2463,88 ლარის გადახდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს სახით.

გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი

სს „თ. ბ.-ს“ სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. მოპასუხე ნ. გ.-ს სს „თ. ბ.-ს“ სასარგებლოდ, საკრედიტო ბარათით სარგებლობის შესახებ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ძირითადი თანხის დავალიანების ასანაზღაურებლად, დაეკისრა 2463,88 ლარის გადახდა. მოპასუხე ნ. გ.-ს სს „თ. ბ.-ს“ სასარგებლოდ, სესხზე დარიცხული სარგებლის სახით, დაეკისრა 2527,01 ლარის გადახდა. მოსარჩელის მოთხოვნა პირგასამტეხლოს დაკისრების შესახებ, არ დაკმაყოფილდა.

დასკვნები ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით

უდავო ფაქტობრივი გარემოებები

2.1. ნ. გ.-ზე სს „თ. ბ.-მ“ 2008 წლის 30 ივლისს გასცა საკრედიტო ბარათი, ლიმიტით 2500 ლარის ოდენობით.

დადგენილი სადავო ფაქტობრივი გარემოებები

2.2. 2008 წლის 30 ივნისს, ნ. გ.-ს სს „თ. ბ.-სგან“ გადაეცა საკრედიტო ბარათი „მასტერქარდ სტანდარტი“ და მხარეები შეთანხმდნენ საკრედიტო ლიმიტით სარგებლობის შემდეგ პირობებზე: საკრედიტო ლიმიტის მოცულობა - 2500 ლარი, წლიური საპროცენტო სარგებლის განაკვეთი საკრედიტო ლიმიტით სარგებლობისათვის - 36% და განსაზღვრული იქნა ყოველთვიურად დასაფარი მინიმალური თანხა - ათვისებული საკრედიტო ლიმიტის 10 პროცენტი და წინა პერიოდში დარიცხული პროცენტი. აღნიშნული გარემოება სასამართლომ დაადგინა დოკუმენტით, სადაც დაფიქსირებულია საკრედიტო ბარათის ინდივიდუალური პირობების შესახებ შეთანხმება ნ. გ.-სთან და დოკუმენტი ხელმოწერილია მოპასუხის მიერ.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 325-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტის თანახმად ხელშეკრულება დადებულად ითვლება, თუ მხარეები მის ყველა არსებით პირობაზე შეთანხმდნენ საამისოდ გათვალისწინებული ფორმით. არსებითად ჩაითვლება ხელშეკრულების ის პირობები, რომლებზედაც ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით მიღწეულ უნდა იქნეს შეთანხმება, ანდა რომლებიც ასეთად მიჩნეულია კანონის მიერ.

ამავე კოდექსის 624-ე მუხლი სესხის ხელშეკრულების დადებისთვის არ ითვალისწინებს რაიმე სპეციალურ ფორმას, ის შეიძლება დაიდოს, როგორც წერილობითი, ასევე ზეპირი ფორმით, შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ ნ. გ.-მ საკრედიტო ბარათის გადაცემის დოკუმენტზე ხელის მოწერით დაადასტურა სს „თ. ბ.-სთან“ საკრედიტო ხელშეკრულების გაფორმების ფაქტი ზემოთ მითითებული პირობებით.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 71-ე მუხლის თანახმად, თუ გარიგების დადებისას შედგენილია ერთი და იმავე შინაარსის რამდენიმე დოკუმენტი, მაშინ საკმარისია თითოეულმა მხარემ ხელი მოაწეროს იმ დოკუმენტის ეგზემპლარს, რომელიც განკუთვნილია შესაბამისი მხარისათვის.

აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, მხოლოდ ნ. გ.-ს მიერ საკრედიტო ბარათის მიღების შესახებ დოკუმენტზე ხელის მოწერა მხარეებს შორის საკრედიტო ხელშეკრულების გაფორმების დასადასტურებლად სასამართლომ საკმარისად მიიჩნია.

2.3. ნ. გ.-მ არ შეასრულა საკრედიტო ბარათით სარგებლობის შესახებ ხელშეკრულების პირობები და მისი დავალიანება სს „თ. ბ.-ს“ სასარგებლოდ შეადგენს ძირითადი თანხიდან 2463,88 ლარს, ხოლო სესხზე დარიცხული და გადაუხდელი პროცენტის ოდენობაა 2527,01 ლარი.

ძირითადი თანხის დავალიანების ოდენობა მოპასუხე მხარეს სადავოდ არ გაუხდია, რის გამოც, სასამართლომ ეს გარემოება დადასტურებულად მიიჩნია. რაც შეეხება დარიცხული პროცენტის ოდენობას, აღნიშნულთან დაკავშირებით მოპასუხემ აღნიშნა, რომ თანხა არასწორად იყო დაანგარიშებული. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის თანახმად თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. განსახილველ შემთხვევაში მოპასუხემ სასამართლოს ვერ განუმარტა თუ რატომ ხდიდა სადავოდ დარიცხული პროცენტის ოდენობას და რა შესაგებელი გააჩნდა ამ საკითხთან დაკავშირებით.

2.4. საქმის მასალებით არ დადასტურდა მოსარჩელის და მოპასუხის შორის პირგასამტეხლოს გადახდაზე შეთანხმების ფაქტი.

2.5. მხარეთა შორის არსებული შეთანხმებით ასევე არ დადგინდა საკრედიტო ხელშეკრულების ვადა, რის გამოც, სასამართლომ მიიჩნია, რომ ხელშეკრულება დადებული იქნა განუსაზღვრელი ვადით.

დასკვნები სამართლებრივ გარემოებებთან დაკავშირებით

2.6. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 316-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ვალდებულების ძალით კრედიტორი უფლებამოსილია მოსთხოვოს მოვალეს რაიმე მოქმედების შესრულება. ამავე კოდექსის 317-ე მუხლის თანახმად, ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელია მონაწილეთა შორის ხელშეკრულება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ვალდებულება წარმოიშობა ზიანის მიყენების (დელიქტის), უსაფუძვლო გამდიდრების ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლებიდან.

განსახილველ შემთხვევაში მხარეებს შორის ვალდებულების წარმოშობის საფუძველია საკრედიტო ხელშეკრულება.

სამოქალაქო კოდექსის 867-ე მუხლის მიხედვით, საბანკო კრედიტის ხელშეკრულებით კრედიტის გამცემი აძლევს ან მოვალეა მისცეს მსესხებელს სასყიდლიანი კრედიტი სესხის ფორმით.

საქმის მასალებით დადგინდა, რომ 2008 წლის 30 ივნისს ნ. გ.-ს სს „თ. ბ.-სგან“ გადაეცა საკრედიტო ბარათი „მასტერქარდ სტანდარტი'' და მხარეები შეთანხმდნენ საკრედიტო ლიმიტით სარგებლობის შემდეგ პირობებზე: საკრედიტო ლიმიტის მოცულობა - 2500 ლარი, წლიური საპროცენტო სარგებლის განაკვეთი საკრედიტო ლიმიტით სარგებლობისათვის - 36% და განსაზღვრული იქნა ყოველთვიურად დასაფარი მინიმალური თანხა - ათვისებული საკრედიტო ლიმიტის 10 პროცენტი და წინა პერიოდში დარიცხული პროცენტი.

2.7. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 623-ე მუხლის თანახმად, სესხის ხელშეკრულებით გამსესხებელი საკუთრებაში გადასცემს მსესხებელს ფულს ან სხვა გვაროვნულ ნივთს, ხოლო მსესხებელი კისრულობს დააბრუნოს იმავე სახის ხარისხისა და რაოდენობის ნივთი.

სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას.

სასამართლომ უდავოდ დადგენილად მიიჩნია, რომ მოპასუხემ სესხის სახით მიიღო თანხა, მაგრამ არ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები - არ დაფარა კრედიტი.

ასევე დადგინდა, რომ მოპასუხეს არ დაუბრუნებია სესხის ხელშეკრულებით მიღებული თანხის ნაწილი 2463,88 ლარის ოდენობით, რის გამოც, ამ ნაწილში სს „თ. ბ.-ს“ სარჩელი დაკმაყოფილდა.

2.8. სასამართლო არ გაიზიარა მოპასუხის პოზიცია სარჩელის ხანდაზმულობასთან დაკავშირებით შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სახელშეკრულებო მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადა შეადგენს სამ წელს, ხოლო უძრავ ნივთებთან დაკავშირებული სახელშეკრულებო მოთხოვნებისა - ექვს წელს. ხოლო ამავე კოდექსის 137-ე მუხლის შესაბამისად, ხანდაზმულობის ვადის დენა წყდება, თუ ვალდებული პირი უფლებამოსილი პირის წინაშე ავანსის, პროცენტის გადახდით, გარანტიის მიცემით ან სხვაგვარად აღიარებს მოთხოვნის არსებობას.

განსახილველ შემთხვევაში ნ. გ.-მ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობის შესაბამისად, საკრედიტო ბარათის ანგარიშზე თანხა დადგენილ დროში - 2009 წლის 24 მარტს განათავსა, რის შემდეგაც გადახდა არ განუხორციელებია 2010 წლის 11 თებერვლამდე, რა დროსაც მან სს „თ. ბ.-ს“ საკრედიტო ბარათის ანგარიშზე განათავსა 100 ლარი.

სასამართლომ მიიჩნია, რომ 2010 წლის 11 თებერვალს განხორციელებული შენატანით ნ. გ.-მ სს „თ. ბ.-ს“ წინაშე აღიარა მოთხოვნის არსებობა, რაც იწვევს ხანდაზმულობის ვადის შეწყვეტას და შესაბამისად, ვინაიდან ამ თარიღის შემდეგ სარჩელის შემოტანამდე (17 იანვარი, 2013 წელი) არ არის გასული 3 წელი, სასამართლომ მიიჩნია, რომ სს „თ. ბ.-ს“ მოთხოვნა არ იყო ხანდაზმული.

2.9. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 868-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მხარეთა შეთანხმებით კრედიტორისათვის შეიძლება განისაზღვროს მყარი ან ცვალებადი საპროცენტო განაკვეთი.

განსახილველ შემთხვევაში, მოპასუხემ არ უარყო ხელშეკრულებით პროცენტის გადახდაზე შეთანხმების ფაქტი. დადგინდა, რომ ისინი შეთანხმდნენ საკრედიტო ლიმიტით სარგებლობის წლიურ 36 პროცენტიან საპროცენტო განაკვეთზე, ხოლო დარიცხული პროცენტის ოდენობამ შეადგინა 2527,01 ლარი, რისი გადახდაც დაეკისრა მოპასუხე მხარეს.

2.10. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 417-ე მუხლის თანახმად, პირგასამტეხლო მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული ფულადი თანხაა, რომელიც მოვალემ უნდა გადაიხადოს ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 418-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად შეთანხმება პირგასამტეხლოზე მოითხოვს წერილობით ფორმას.

განსახილველ შემთხვევაში არ არსებობდა მხარეთა შორის წერილობითი შეთანხმება პირგასამტეხლოს გადახდასთან დაკავშირებით და თუნდაც ინფორმაცია აღნიშნულთან

დაკავშირებით მართლაც ყოფილიყო გამოქვეყნებული სს „თ. ბ.-ს“ ინტერნეტ საიტზე, სასამართლომ არ მიიჩნია, რომ შეთანხმება მოხდა კანონის დაცვით, ვინაიდან საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 418-ე მუხლი იმპერატიულად ადგენს ხელშეკრულების ფორმას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან მხარეებს შორის წერილობით არ გაფორმებულა შეთანხმება პირგასამტეხლოს შესახებ, სს „თ. ბ.-ს“ მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა.

სასამართლომ ასევე აღინიშნა ის გარემოებაც, რომ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ დასტურდებოდა რეალურად რა შეთავაზება იყო განთავსებული სს „თ. ბ.-ს“ ინტერნეტ გვერდზე, რადგან მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტით არ დგინდებოდა, რომ მასში აღნიშნული შეთავაზება რა პერიოდში იყო განთავსებული საიტზე და შეეხებოდა, თუ არა ის მოპასუხესთან გაფორმებულ პერიოდს.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, სს „თ. ბ.-ს“ სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. მოპასუხე ნ. გ.-ს 2008 წლის 30 ივნისის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა სესხის ძირითადი თანხის 2463,88 ლარის და სესხისათვის გათვალისწინებული პროცენტის - 2527,01 ლარის გადახდა.

3. სააპელაციო საჩივრის საფუძვლები

ფაქტობრივი საფუძვლები

3.1. სასამართლომ ბანკის მიერ წარმოდგენილი საბანკო ამონაწერის საფუძველზე დაუსაბუთებლად მიიჩნია, რომ 2010 წლის 11 თებერვალს აპელანტმა განახორციელა თანხის შეტანა, რითაც აღიარა ვალდებულება. ბანკის მიერ წარმოდგენილი ამონაწერი არის ცალმხრივი მტკიცებულება და მხოლოდ მის საფუძველზე დაყრდნობით არ უნდა გაეკეთებინა სასამართლოს მცდარი დასკვნა სარჩელის ხანდაზმულობის თაობაზე.

3.2. სასამართლომ არასწორად მიიჩნია, რომ მოპასუხე მხარე ვერ განმარტავდა, თუ რატომ ხდიდა პროცენტის ოდენობას სადავოდ. მოპასუხემ პირველ სასამართლო სხდომაზე განმარტა, რომ მოსარჩელეს არ ჰქონდა დაზუსტებული, თუ რა პერიოდზე დაიანგარიშა მან თანხა. ამის შემდგომ, სასამართლომ მოსარჩელეს სარჩელის დაზუსტება დაავალა, რაც მას არ განუხორციელებია.

სამართლებრივი საფუძვლები

3.3. მართალია, ბანკის ამონაწერი შეიცავს ინფორმაციას აპელანტის მიერ თანხის გადახდის თაობაზე, მაგრამ აღნიშნული ჩანაწერის უტყუარობა ბანკის მიერ არ დადასტურებულა. შესაბამისად, სასამართლომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე და 105-ე მუხლების საფუძველზე არასწორი შეფასება მისცა მტკიცებულებას. აღნიშნული მტკიცებულების გაზიარებით სასამართლომ არასწორად გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 341-ე მუხლი და ასევე არასწორი დასკვნები გამოიტანა ხანდაზმულობასთან დაკავშირებით, სამოქალაქო კოდექსის 137-ე მუხლზე მითითებით.

4. გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლის დასაბუთება

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით. ამავე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, სამართლებრივი თვალსაზრისით შემოწმებისას სასამართლო ხელმძღვანელობს 393-ე და 394-ე მუხლების მოთხოვნებით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 386-ე მუხლის შესაბამისად, თუ სააპელაციო საჩივარი დასაშვებია და საქმე პირველი ინსტანციის სასამართლოს არ უბრუნდება, სააპელაციო სასამართლო თვითონ იღებს გადაწყვეტილებას საქმეზე. იგი თავისი განჩინებით უარს ამბობს სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე ან გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლით იღებს ახალ გადაწყვეტილებას.

ფაქტობრივ-სამართლებრივი დასაბუთება

4.1. ნ. გ.-მ ძირითადი თანხის სახით, 2 463,88 ლარის გადახდის ვალდებულება პირველი ინსტანციის სასამართლოში აღიარა (ტ 1, ს.ფ. 33), თუმცა, ვალდებულების შესრულებაზე უარი ხანდაზმულობის საფუძვლით განაცხადა (ტ 1, ს.ფ. 44-47). სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ სს „თ. ბ.-ს“ მოთხოვნა ძირითადი თანხის მოთხოვნის ნაწილში ხანდაზმული არ არის.

მართალია, ნ. გ.-მ შესაგებლის წარდგენის გზით „თ. ბ.-ს“ წინაშე ნაკისრი ვალდებულება ძირითადი თანხის ნაწილში აღიარა, თუმცა, მოსამზადებელ სხდომაზე აღნიშნული ვალდებულების ხანდაზმულობის თაობაზე მიუთითა. პალატა მიიჩნევს, რომ ძირითადი თანხის ნაწილში სს „თ. ბ.-ს“ ვალდებულება ხანდაზმული არ არის შემდეგ გარემოებათა გამო, კერძოდ, საქმეში წარმოდგენილია 2008 წლის 30 ივნისით დათარიღებული ნ. გ.-ს ხელმოწერილი დოკუმენტი, რომელშიც ასახულია ინფორმაცია საკრედიტო ბარათის ინდივიდუალური პირობების შესახებ (ტ 1, ს.ფ. 13-15). მითითებული პირობების შესაბამისად, ამ განაცხადის ხელმოწერით განმცხადებელი ადასტურებს, რომ დეტალურად იცნობს სს „თ. ბ.-ს“ ინტერნეტ გვერდზე www.Xbank.com.ge განთავსებულ საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულების პირობებს, შესაბამისად, ეთანხმება და უერთდება მას (ტ 1, ს.ფ. 14). 2013 წლის 6 მარტის მოსამზადებელი სხდომის ოქმს ერთვის ის სტანდარტული პირობები, რომლის სავალდებულოობაც მხარემ აღიარა (ტ 1, ს.ფ. 51-64). მითითებული სტანდარტული ხელშეკრულების 8.1. პუნქტის მიხედვით, ხელშეკრულება მოქმედებს 6 თვის განმავლობაში, თუ მისი მოქმედების ვადის გასვლამდე ერთი თვით ადრე მხარეები არ გამოთქვამენ მისი შეწყვეტის სურვილს. ყოველი მორიგი 6 (ექვსი) თვის გასვლის შემდეგ ხელშეკრულების მოქმედების ვადა გაგრძელდება ამ პუნქტით დადგენილი წესით. **ამდენად, პალატა მიიჩნევს, რომ მითითებული მუხლის მიხედვით, სს „თ. ბ.-სა“ და ნ. გ.-ს შორის დადებული ხელშეკრულება წარმოადგენს უვადო ხელშეკრულებას.** იგი, თავისი არსით, განსხვავდება ვადიანი საკრედიტო ხელშეკრულებებისაგან, სადაც ვალდებულება პერიოდულად შესასრულებელია და პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულება მოიცავს როგორც ძირი თანხის ნაწილის დაფარვას, ასევე პროცენტისა და დარიცხული პირგასამტეხლოს გადახდას. განსახილველ შემთხვევაში კი, საკრედიტო ბარათის სპეციფიკის გათვალისწინებით საქმე გვაქვს ისეთი სახის საბანკო კრედიტის ხელშეკრულებასთან, რა დროსაც მსესხებელი საბანკო დაწესებულებისაგან, განსაზღვრული ან განუსაზღვრელი ვადით, თუმცა, დროებით სარგებლობაში იღებს თანხას, რისთვისაც იხდის წლიურ საპროცენტო სარგებელს. ყოველთვიურად დასაფარი მინიმალური თანხა კი შეადგენს ათვისებული საკრედიტო ლიმიტის 10%-ს და წინა პერიოდში დარიცხულ პროცენტს. ამდენად, მსესხებელი საკრედიტო ბარათით მომსახურების ხელშეკრულების შეწყვეტამდე ძირითად თანხას

გამსესხებელ საკრედიტო დაწესებულებას კი არ უბრუნებს და ამით, პერიოდულ ვალდებულებებს კი არ ასრულებს, არამედ აღნიშნულ თანხას კვლავ საკრედიტო ბარათის ანგარიშზე დებს. ამდენად, პალატა მიიჩნევს, რომ საკრედიტო ბარათით მომსახურების ხელშეკრულებით, მსესხებელი სესხის ძირ თანხას განკარგავს იქამდე, სანამ ხელშეკრულება არ შეწყდება. სამოქალაქო კოდექსის 365-ე მუხლის მიხედვით, თუ ვალდებულების შესრულებისათვის არ არის განსაზღვრული დრო და იგი სხვა გარემოებებიდანაც არ ირკვევა, მაშინ კრედიტორს ნებისმიერ დროს შეუძლია მოითხოვოს მისი შესრულება, ხოლო მოვალეს შეუძლია იგი დაუყოვნებლივ შეასრულოს. ამდენად, პალატა მიიჩნევს, რომ სესხის ძირითად თანხასთან მიმართებით სს „თ. ბ.-ს“ მოთხოვნა ხანდაზმულად ვერ მიიჩნევა, რადგან ძირითადი თანხის დაბრუნების ვალდებულება მსესხებელს გამსესხებლის მოთხოვნისთანავე წარმოეშობა, რაც იმას ნიშნავს, რომ მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადაც კრედიტორის მოთხოვნიდან აითვლება.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მიხედვით, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. ამ გარემოებათა დამტკიცება შეიძლება თვით მხარეთა (მესამე პირთა) ახსნა-განმარტებით, მოწმეთა ჩვენებით, ფაქტების კონსტატაციის მასალებით, წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულებებითა და ექსპერტთა დასკვნებით. საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით. ამავე კოდექსის 105-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლოსათვის არავითარ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. მოსაზრებები, რომლებიც საფუძვლად უდევს სასამართლოს შინაგან რწმენას, უნდა აისახოს გადაწყვეტილებაში.

ამდენად, მოწინააღმდეგე მხარემ ვერ უზრუნველყო მტკიცებულებათა წარმოდგენა შესაგებლის საფუძვლად მითითებული ფაქტობრივი გარემოებების დასადასტურებლად. შესაბამისად, პალატა ვერ გაიზიარებს მოწინააღმდეგე მხარის არგუმენტს მასზედ, რომ სს „თ. ბ.-სა“ და ნ. გ.-ს შორის საკრედიტო ბარათის მომსახურების ხელშეკრულება განსაზღვრული ვადით დაიდო, ვინაიდან მოწინააღმდეგე მხარემ აღნიშნული ფაქტობრივი გარემოების დასადასტურებლად მტკიცებულება ვერ წარმოადგინა.

4.2. ნ. გ.-ს სს „თ. ბ.-ს“ სასარგებლოდ ეკისრება პროცენტის სახით, 880,98 ლარის გადახდის ვალდებულება.

საქმეში წარმოდგენილია სს „თ. ბ.-ს“ მიერ გაცემული ცნობა მასზედ, რომ ნ. გ.-ს პროცენტის სახით 2 527,01 ლარი დავალიანება ერიცხება. ნ. გ.-ს სადავოდ გახადა დარიცხული პროცენტის ოდენობა (იხ. შესაგებელი, ტ 1, ს.ფ. 31-39, ასევე სააპელაციო საჩივარი, ტ 2, ს.ფ. 8-18). საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე და 105-ე მუხლების შესაბამისად, სასამართლო საქმისათვის მნიშვნელობის მქონე დასკვნებს მხოლოდ მტკიცებულებათა ერთობლივი ანალიზის საფუძველზე აკეთებს. მოცემულ შემთხვევაში, პალატამ მტკიცებულებათა კვლევის შედეგად მიიჩნია, რომ სს „თ. ბ.-ს“ მიერ გაცემულ ცნობასა და ნ. გ.-ს ანგარიშის ამონაწერში მითითებული ინფორმაცია დარიცხული პროცენტის ნაწილში წინააღმდეგობრივი იყო, დეტალური ამონაწერის დამატებითი ინფორმაციის გრაფაში მითითებულია თითოეული საბანკო ოპერაციის დანიშნულება, შესაბამისად, აღნიშნული ამონაწერის მიხედვით, ნ. გ.-სათვის დარიცხული პროცენტი 2 527,01 ლარის ნაცვლად 880,98 ლარს შეადგენს (114,39+67,44 + 58,68 + 84,58, + 73,36 + 75,14 + 74,63 + 18,13 + 314, 63) (ტ 1, ს.ფ. 81-85), ამასთან, პალატა მიზანშეწონილად მიიჩნევს განმარტოს, რომ ხსენებული ამონაწერის

განმარტების მიზნებისათვის, მოწინააღმდეგე მხარეს მიეცა შესაძლებლობა მტკიცებულებათა კვლევის ეტაპზე წარმოედგინა ბანკის მიერ უფლებამოსილი სპეციალისტი, რათა სასამართლოს გაერკვია ისეთი სპეციფიკური საკითხები, როგორიცაა, ტერმინალის მეშვეობით თანხის მოძრაობის თავისებურებები. სასამართლოს კვლევის საგანს წარმოადგენდა ასევე პროცენტის თაობაზე მტკიცებულებათა წინააღმდეგობრიობა. სს „თ. ბ.-მ“ აღნიშნულ ნაწილში მასზე დაკისრებული მტკიცების ტვირთი ვერ განახორციელა, შესაბამისად, პალატამ მსესხებლის ანგარიშის დეტალური ამონაწერი ისეთი სახის მტკიცებულებად მიიჩნია, რომელიც დებეტისა და კრედიტის თაობაზე დეტალურ და ამომწურავ ინფორმაციას იძლევა (იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 3 და 10 დეკემბრის სხდომის ოქმები). ამდენად, პალატა დაეყრდნო რა ნ. გ.-ს საბანკო ამონაწერს, მიიჩნია, რომ მას პროცენტის სახით სს „თ. ბ.-ს“ წინაშე 2 527,01 ლარის ნაცვლად, 880,98 ლარის ოდენობით დავალიანება ერიცხება.

პალატა მიიჩნევს, რომ დარიცხული პროცენტი გადასახდელია და იგი ხანდაზმულ დავალიანებად ვერ მიიჩნევა, ვინაიდან მსესხებელმა 2010 წლის 11 თებერვალს თანხის გადახდით დარიცხული დავალიანება აღიარა (ტ 1, ს.ფ. 85). პალატა ვერ გაიზიარებს აპელანტის მტკიცებას მასზედ, რომ აღნიშნული გადახდა ნ. გ.-ს არ უწარმოებია. პალატა მიიჩნევს, რომ **არსებობს საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულების ნამდვილობის პრეზუმფცია.** სასამართლო, სათანადო მტკიცების გარეშე, წარმოდგენილი მტკიცებულების გაყალბების ეჭვს ვერ დაუშვებს. შესაბამისად, პალატა მიიჩნევს, რომ რადგან ნ. გ.-ს საბანკო ამონაწერის ნამდვილობა მთლიანად ეჭვქვეშ არ დგება, მხოლოდ ერთი გადახდის ნამდვილობის ეჭვქვეშ დაყენების ფაქტობრივი წინაპირობები არ არსებობს, მით უფრო, რომ აპელანტს აღნიშნული ეჭვის დამადასტურებელი მტკიცებულება არ წარმოუდგენია.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 137-ე მუხლის მიხედვით, ხანდაზმულობის ვადის დენა წყდება, თუ ვალდებული პირი უფლებამოსილი პირის წინაშე ავანსის, პროცენტის გადახდით, გარანტიის მიცემით ან სხვაგვარად აღიარებს მოთხოვნის არსებობას.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 144-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების მიხედვით, თუ ვალდებულმა პირმა მოვალეობა შეასრულა ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ, მას არა აქვს უფლება მოითხოვოს შესრულებულის დაბრუნება, თუნდაც, მოვალეობის შესრულების მომენტში მას არ სცოდნოდა, რომ ხანდაზმულობის ვადა გასული იყო. იგივე წესი გამოიყენება ვალდებული პირის აღიარებისა და უზრუნველყოფის საშუალებათა მიმართაც.

ამდენად, პალატა მიიჩნევს, რომ სს „თ. ბ.-ს“ მოთხოვნა ნ. გ.-სათვის პროცენტის დარიცხვის ნაწილში დასაბუთებულია მხოლოდ 880,98 ლარის ოდენობით. ამასთან, პალატა მიიჩნევს, რომ აღნიშნულ ნაწილში მოთხოვნა ხანდაზმული არ არის, ვინაიდან მსესხებელმა თანხის გადახდით დავალიანება აღიარა.

5. შემაჯამებელი სასამართლო დასკვნა

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გასაჩივრებული გადაწყვეტილება უნდა შეიცვალოს ნაწილობრივ და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სს „თ. ბ.-ს“ სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

6. საპროცესო ხარჯები

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი დაკმაყოფილებულია ნაწილობრივ, მაშინ მოსარჩელეს ამ მუხლში აღნიშნული თანხა მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რაც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს - სარჩელის მოთხოვნათა იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა. მოცემულ შემთხვევაში, აპელანტმა ბაჟის სახით 199, 63 ლარი გადაიხადა. სააპელაციო საჩივრის მოთხოვნის ღირებულება იყო 4 990,89 ლარი. აპელანტის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, კერძოდ, პროცენტის სახით გადასახდელი 2 527,01 ლარი შემცირდა 880,98 ლარამდე. ძირი თანხა - 2 463,88 ლარი დარჩა უცვლელად, შესაბამისად, სააპელაციო მოთხოვნის 32% დაკმაყოფილდა, რაც იმას ნიშნავს, რომ სს „თ. ბ.-ს“ უნდა დაეკისროს ნ. გ.-სათვის 63, 88 ლარის ანაზღაურება.

სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა

1. ნ. გ.-ს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 5 ივნისის გადაწყვეტილება;

3. ნ. გ.-ს სს „თ. ბ.-ს“ სასარგებლოდ დაეკისროს საკრედიტო ბარათით სარგებლობის შესახებ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ძირითადი თანხა - 2 463,88 ლარის ოდენობით;

4. ნ. გ.-ს სს „თ. ბ.-ს“ სასარგებლოდ დაეკისროს საკრედიტო ბარათით სარგებლობის შესახებ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სარგებელი - 880,98 ლარი;

5. სს „თ. ბ.-ს“ სარჩელი პირგასამტეხლოს დაკისრების შესახებ არ დაკმაყოფილდეს;

6. ნ. გ.-ს სს „თ. ბ.-ს“ სასარგებლოდ დაეკისროს პირველი ინსტანციის სასამართლოში ბაჟის სახით გადახდილი თანხის ანაზღაურება - 100,34 ლარის ოდენობით;

7. სს „თ. ბ.-ს“ ნ. გ.-ს სასარგებლოდ დაეკისროს სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში გადახდილი ბაჟის ანაზღაურება - 63, 88 ლარის ოდენობით;

8. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს უზენაეს სასამართლოში მისი სარეზოლუციო ნაწილის მე-9 პუნქტით გათვალისწინებული წესების დაცვით დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის ჩაბარებიდან 21 დღის ვადაში თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში საკასაციო საჩივრის წარდგენის გზით;

9. გადაწყვეტილების გასაჩივრების მსურველი მხარე, თუ ის ესწრება გადაწყვეტილების გამოცხადებას ან მისთვის ცნობილია გადაწყვეტილების გამოცხადების თარიღი, ვალდებულია, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან არა უადრეს 20 და არა უგვიანეს

30 დღისა, გამოცხადდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოში და ჩაიბაროს გადაწყვეტილების ასლი. წინააღმდეგ შემთხვევაში გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყება გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 30-ე დღეს. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია.

თავმჯდომარე **ქეთევან მესხიშვილი**

მოსამართლეები **ლილი ტყემალაძე**

ნათია გუჯაბიძე